საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე გველესიანის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი : 27.05.2021 წ.

სალომე გველესიანი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		კანდიდატი არის თავდაჭერილი, კორექტული. მას აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს კანდიდატი ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა დაფარული აქვს დროულად, კანონით დადგენილ ვადაში. კანდიდატი მიუკერძოებელია პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**21**	**25**	კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონდმბელობას. ასევე, დამაკმაყოფილებელია მისი ცდონის დონე ადამიანის უფლებების და თავისუფლებების სფეროში,

			თუმცა არ არის სიღრმისეული. გამოვლინდა, რომ კანდიდატი პერიოდულად ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**24**	**25**	კანდიდატს აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. ამასთან, მისი გამოცდილება აკმაყოფილებს კანონით მოთხოვნილ ფორმალურ წინაპირობებს.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**19**	**20**	კანდიდატს შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს სხვისი მოსაზრება. თავის მოსაზრებებს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, მარტივი ენით როგორც წერილობით ისე ზეპირად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.
პროფესიული თვისებები	**15**	**15**	კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე, მას აქვს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს ახალი ცოდნის შეძენის ინტერესი. ის მეტნაკლებად ახერხებს დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების წარმოჩენას. ამასთან, კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგსა და სემინარს.
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ აკადემიურ საქმიანობას. ბოლო წლების განმავლობაში კანდიდატი ესწრებოდა პროფესიულ შეხვედრებსა და მონაწილეობას იღებდა დისკუსიებში.
ქულათა ჯამი	**90**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს.		

	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35[1]-ე და 36[3]-ე მუხლების შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, სალომე გველესიანის, შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ სალომე გველესიანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ ვალდებულებებს კანდიდატი ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მას არ უფიქსირდება რაიმე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შესაბამისად, სალომე გველესიანი თავის მოვალეობებს ასრულებს სათანადო პასუხისმგებლობით. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატის მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებასა და პრინციპულობას ხაზს უსვამენ მისი რეკომენდატორები და კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. ამდენად, მიმაჩნია, რომ სალომე გველესიანი მიუკერძოებელია პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.

	კანდიდატს შესწევს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** კანდიდატმა გასაუბრების მიმდინარეობისას გამოავლინა, გაწონასწორებულობა, კორექტულობა და თავაზიანობა. კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას ის არის თავშეკავებული და კორექტული. მოძიებული ინფორმაციით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში მუშაობის პერიოდში კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა ანდა ადმინისტრაციული წარმოება არ განხორციელებულა. კანდიდატი მხარედ ან დაზარებულად არ წარმოდგენილა, ამასთან, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ ფიქსირდება. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები ხაზს უსვამენ კანდიდატის მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, პრინციპულობას, გუნდურობას, კორექტულობას, გაწონასწორებულობას, კომუნიკაბელურობას და ა.შ.. ერთ-ერთ რეკომენდატორს კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად მიაჩნია ის, რომ ნაკლებად არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** როგორც უკვე აღინიშნა, სალომე გველესიანი კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ სალომე გველესიანი <u>სრულად აკმაყოფილებს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით სალომე გველესიანის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*

	• *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* **<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>** კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონდმბელობას. ასევე, დამაკმაყოფილებელია მისი ცდონის დონე ადამიანის უფლებების და თავისუფლებების სფეროში, თუმცა არ არის სიღრმისეული. გამოვლინდა, რომ კანდიდატი პერიოდულად ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს დაესვა არაერთი შეკითხვა, როგორც სამართლებრივი, ისე ზოგადი ხასიათის. კანდიდატი ცდილობდა შეძლებისდაგვარად დაესაბუთებინა თავისი მოსაზრება და გამოევლინა ცოდნა მისთვის დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მსჯელობა ზოგადსამართლებრივ საკითხებზე ზოგჯერ მოკლებული იყო არგუმენტაციას. ამასთან, გარკვეულ საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატის პასუხი იყო არასრული, მაგალითად, კონსტიტუციის პრეამბულასთან დაკავშირებით, ასევე უხამსობისა და სიძულვილის ენასთან, გამოხატვის თავისუფლებისა და სიძულვილის ენას შორის ზღვართან დაკავშირებით და ა.შ.. გარკვეულ საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატმა ვერ გაამყარა თავისი შეხედულებები შესაბამისი მითითებებით საკანონმდებლო ნორმებსა თუ სასამართლო პრაქტიკაზე. მაგალითად, მოტყუებით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით, ასევე სამოქალაქო და სისხლის სამართალში უკიდურესი აუცილებლობის საკითხზე მსჯელობისას და ა.შ.. საბოლოო ჯამში, კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე მსჯელობისას მან სრულად ანდა ნაწილობრივ ამოწურა საკითხების სრული რაოდენობის 83%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატს აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. მართალია, მისი პროფესიული გამოცდილება აკმაყოფილებს კანონით მოთხოვნილ

	ფორმალურ წინაპირობებს, თუმცა უზენაესი სასამართლოს როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატმა ვერ გამოავლინა, რომ აღნიშნული გამოცდილება საკმარისია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ მისი ნაშრომი არის დასაბუთებული, დამაჯერებელი. ნაშრომში აზრი გამოხატულია მკაფიოდ და ლოგიკური თანმიმდევრობით. **<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატის მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის გაცნობის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ თავის მოსაზრებებს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, როგორც წერილობით ისე ზეპირად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ასევე, შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება. **<u>პროფესიული თვისებები</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე, მას აქვს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს ახალი ცოდნის შეძენის ინტერესი. გამოვლინდა, რომ ის ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ კვლევებს. ამასთან, კანდიდატი ესწრება სხვადასხვა სამართლებრივ ტრენინგსა და სემინარს. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არ გამოირჩევა აქტიურობით პროფესიული კუთხით, ის არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას, შესაბამისად, ის არ არის სამეცნიერო თუ სხვა სახის პუბლიკაციის ავტორი. მის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი კი, მიუხედავად თემის აქტუალობისა, წარმოადგენს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მისაღებად სავალდებულო წინაპირობას და არა კანდიდატის მიერ ნებაყოფლობით სამეცნიერო კვლევის შედეგად შექმნილ ნაშრომს.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.